

საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვა და შეფასება სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში

მუხლი 1 - საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულება

1. საბაკალავრო სწავლების სტუდენტი უფლებამოსილია შეასრულოს საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი დამთავრებულ სემესტრში;
2. სამაგისტრო სწავლების სტუდენტი უფლებამოსილია შეასრულოს სამაგისტრო ნაშრომი დამამთავრებულ სემესტრში დამოუკიდებლად ან ერთ ან/და ორ საგანთან ერთად.

მუხლი 2 - საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის თემატიკის შერჩევა

1. აკადემიური რეგისტრაციის დაწყებამდე სტუდენტი მის მიერ შერჩეულ საკვლევ თემატიკას წარუდგენს სკოლას; სკოლა თემატიკის შესაბამისად განსაზღვრავს ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელს (საჭიროების შემთხვევაში - თანახელმძღვანელს).
2. ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი სემესტრის დაწყებიდან პირველივე კვირაში სპეციალურ ბლანკზე ხელმოწერით ადასტურებს თანხმობას (დანართი N 1), რომ გაუწევს სტუდენტს დახმარებას/კონსულტირებას ნაშრომზე/პროექტზე მუშაობის პროცესში.
3. თანახელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი ამზადებენ ერთიან რეკომენდაციებსა და დასკვნებს, აკეთებენ ერთიან შეფასებას.
4. ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს/სტუდენტს უფლება მიმართოს სკოლის საბჭოს და განახორციელოს აცილება შესაბამისი სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს მე-7 კვირისა და წარადგინოს განმარტებითი ბარათი, სადაც დასაბუთებული იქნება ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის/სტუდენტის აცილების მიზეზი.

მუხლი 3 - საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის კომისია

1. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კომისია შედგება 5 პირისგან - ხელმძღვანელი, ორი ანონიმური ექსპერტი და შესაბამისი დეპარტამენტის 2 აკადემიური/მოწვეული პერსონალი.
2. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი/ექსპერტი შესაძლებელია იყოს აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი/ექსპერტი შესაძლოა იყოს აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალი.
3. ნაშრომის მომზადებაში სტუდენტს ეხმარება ხელმძღვანელი. სტუდენტსა და ხელმძღვანელს შორის იმართება რეგულარული შეხვედრები.
4. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი აკეთებს მხოლოდ შუალედურ (კონცეფცია და წინასწარი განაცხადი) შეფასებებს **(დანართი #2,3,4,5,6,7,8,9)**.

5. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის საბოლოო შეფასებას აკეთებს ორი ანონიმური ექსპერტი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.
6. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას აკეთებს ორი ანონიმური ექსპერტი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.
7. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვა/პრეზენტაცია ხდება შესაბამისი დეპარტამენტის 2 აკადემიური/მოწვეული პერსონალის წინაშე.

მუხლი 4 – კვლევის ინსტრუმენტის დამტკიცება

1. კვლევის დაწყებამდე სტუდენტი კვლევის ინსტრუმენტის დამტკიცების მიზნით მიმართავს ხელმძღვანელს.
2. კვლევის დაწყებამდე მოწმდება საკვლევად გამზადებული კითხვარი, ტესტი თუ სხვა მასალა არღვევს თუ არა საქართველოს კანონმდებლობას, ლახავს თუ არა ადამიანის უფლებებს და ღირსებას, არის თუ არა საშიში ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

მუხლი 5 - საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის კონცეფცია

1. კონცეფცია დასრულებული სახით ეგზავნება (მათ შორის - online.ug.edu.ge სისტემის მეშვეობით) საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს და ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს შესაბამისი სემესტრის მესამე კვირას.
2. კონცეფციის შეფასებას ახორციელებს ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი. კონცეფციის შეფასება ხორციელდება დანართი N 2, დანართი N 3, დანართი N 4 კრიტერიუმების შესაბამისად.
3. კონცეფციის შესრულებისას დაცული უნდა იყოს უნივერსიტეტში მოქმედი მოთხოვნები ნაშრომის გაფორმების მიმართ - APA სტილი.

მუხლი 6 - სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია

1. კონცეფცია დასრულებული სახით ეგზავნება (მათ შორის - online.ug.edu.ge სისტემის მეშვეობით) საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს და ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს შესაბამისი სემესტრის მესამე კვირას.
2. კონცეფცია შესრულებული უნდა იყოს დანართი N 5-ის საფუძველზე გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად.
3. წარმოდგენილი კონცეფციის შესახებ რეკომენდაციებს გასცემს ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი დანართი N 5-ის შესაბამისად.

4. კონცეფციის შესრულებისას დაცული უნდა იყოს უნივერსიტეტში მოქმედი მოთხოვნები ნაშრომის გაფორმების მიმართ - APA სტილი.

მუხლი 7 - საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადი

1. წინასწარი განაცხადი დასრულებული სახით ეგზავნება (მათ შორის - online.ug.edu.ge სისტემის მეშვეობით) საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს და ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს შესაბამისი სემესტრის მეცხრე კვირას.
2. წინასწარი განაცხადის შეფასებას ახორციელებს ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი. წინასწარი განაცხადის შეფასება ხორციელდება დანართი N 6, დანართი N 7, დანართი N 8 კრიტერიუმების შესაბამისად.
3. წინასწარი განაცხადის შესრულებისას დაცული უნდა იყოს უნივერსიტეტში მოქმედი მოთხოვნები ნაშრომის გაფორმების მიმართ - APA სტილი.

მუხლი 8 - სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განაცხადი

1. წინასწარი განაცხადი დასრულებული სახით ეგზავნება (მათ შორის - online.ug.edu.ge სისტემის მეშვეობით) საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს და ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს შესაბამისი სემესტრის მეცხრე კვირას.
2. წინასწარი განაცხადი შესრულებული უნდა იყოს დანართი N 9-ის საფუძველზე გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად.
3. წარმოდგენილი წინასწარი განაცხადის შესახებ რეკომენდაციებს გასცემს ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი დანართი N 9-ის შესაბამისად.
4. წინასწარი განაცხადის შესრულებისას დაცული უნდა იყოს უნივერსიტეტში მოქმედი მოთხოვნები ნაშრომის გაფორმების მიმართ - APA სტილი.

მუხლი 9 - საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვა

1. საბაკალავრო პროექტის მოცულობა განისაზღვრება შემდეგნაირად: ჟურნალისტიკის პროგრამა (სიუჟეტი არანაკლებ 10 წუთი; დოკუმენტური ფილმი არანაკლებ 20 წუთი; სტატია არანაკლებ 7 გვერდი); სტრატეგიული კომუნიკაციების პროგრამა (არანაკლებ 5000 სიტყვა); საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა განისაზღვრება 8 000-დან 12 000 სიტყვამდე. საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისას აუცილებელია გამოყენებულ იქნეს მინიმუმ 20 აკადემიური ნაშრომი.

2. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა განისაზღვრება 15 000 – 20 000 სიტყვის მოცულობით. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას აუცილებელია გამოყენებულ იქნეს მინიმუმ 25 აკადემიური ნაშრომი.

3. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი შესაბამისი სემესტრის მე-15 კვირას იტვირთება online.ug.edu.ge სისტემის მეშვეობით; ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი 1 კვირის ვადაში ამოწმებს ნაშრომს პლაგიატზე Turnitin პროგრამის გამოყენებით, ადგენს შესაბამისობას უნივერსიტეტში მოქმედ მოთხოვნებთან ნაშრომის გაფორმების მიმართ - APA სტილი.

4. სტუდენტს ეძლევა 5 დღიანი ვადა მიღებული შენიშვნების/რეკომენდაციების გამოსასწორებლად და ნაშრომს/პროექტს ტვირთავს კვლავ online.ug.edu.ge სისტემის მეშვეობით.

5. საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი დაცვაზე წარდგენის თანხმობის მისაღებად ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს უგზავნის „საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დასკვნის ფორმას“ (დანართი N 10) და „საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეფასების საბოლოო ფორმას“ (დანართი N 11, დანართი N 12, დანართი N 13).

6. საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი სტუდენტის ნაშრომს/პროექტს მხოლოდ ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დადებითი დასკვნის/შეფასების მიღების შემთხვევაში უგზავნის ექსპერტებს; ასევე უგზავნის შეფასების ფორმას (დანართი N 14, დანართი N 15). ექსპერტები აკეთებენ საბოლოო შეფასებას, ასევე ადასტურებენ დაცვაზე/პრეზენტაციაზე სტუდენტის დაშვება/არ დაშვების საკითხს.

7. სტუდენტი დაცვაზე/პრეზენტაციაზე დაიშვება მხოლოდ ორივე ექსპერტის დადებითი შეფასების შემთხვევაში.

8. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვა/პრეზენტაცია ხდება შესაბამისი სემესტრის მეცხრამეტე კვირას სპეციალური/დარგობრივი კომისიის (შესაბამისი დეპარტამენტიდან 2 აკადემიური/მოწვეული პერსონალი) წინაშე; კომისია აფასებს სტუდენტის მიერ წარმოდგენილ პრეზენტაცია/დისკუსიას დანართი N 16/დანართი N 17 კრიტერიუმების შესაბამისად.

მუხლი 10 - ზოგადი დებულებანი

1. სტუდენტი ვალდებულია დაიცვას/დაესწროს საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომზე/პროექტზე მუშაობის ყველა ეტაპის მოთხოვნები.

2. საპატიო მიზეზის (ჯანმრთელობის მდგომარეობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება, სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც სტუდენტისაგან დამოუკიდებლად შეუძლებელს ხდის შესაბამისი ეტაპის მოთხოვნების შესრულებას) არსებობის შემთხვევაში, სტუდენტს შესაბამისი ეტაპის წარდგენის თარიღები გადაუვადდება ერთჯერადად ერთი კვირით.

გადავადების შესახებ სტუდენტის განცხადებას განიხილავს სკოლის საბჭო და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი ეტაპის წარდგენის ვადის გადავადების/არ გადავადების შესახებ.

3. სტუდენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს მიღებული შეფასება „ჩემი UG“-ის სისტემაში ასახვიდან 2 დღის ვადაში. შეფასების გასაჩივრების შესახებ სტუდენტის დასაბუთებული განცხადება წარედგინება სკოლის საბჭოს. სკოლის საბჭო ქმნის კომისიას 3 წევრის შემადგენლობით, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის განცხადების დაკმაყოფილების/არ დაკმაყოფილების შესახებ. კომისიის მიერ საკითხის განხილვისას სტუდენტი უფლებამოსილია დაესწროს სხდომას და წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები და მტკიცებულებები.

4. მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის “(FX)-ვერ ჩააბარა” შეფასების მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული ნაშრომი წარმოადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში; ხოლო „(F)-ჩაიჭრა“ შეფასების მიღების შემთხვევაში - მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

5. მაგისტრანტის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია ჩატარდეს საჯარო ლექცია ნაშრომის შესახებ.

საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამა:----- ----- -----	
სტუდენტის სახელი, გვარი	-----
ხელმძღვანელის სახელი, გვარი	-----
ხელმძღვანელის სტატუსი	<input type="checkbox"/> პროფესორი <input type="checkbox"/> დოქტორანტი <input type="checkbox"/> მკვლევარი <input type="checkbox"/> მოწვეული ლექტორი
საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სათაური ----- ----- ----- -----	
<input type="checkbox"/> თანახმა ვარ სტუდენტს გავუწიო ხელმძღვანელობა ნაშრომზე/პროექტზე მუშაობის პროცესში	
ხელმძღვანელის ხელმოწერა: ----- -----	
<input type="checkbox"/> თანახმა ვარ სტუდენტს გავუწიო თანახელმძღვანელობა ნაშრომზე/პროექტზე მუშაობის პროცესში	
თანახელმძღვანელის ხელმოწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ----- -----	
თარიღი: /-/	შევსებული დოკუმენტის ამობეჭდილი და ხელმოწერილი ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს მე-2 კვირისა.

დანართი N 2 (საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შუალედური (კონკეფცია) შეფასების ფორმა)

საბაკალავრო პროგრამა			

სტუდენტის სახელი, გვარი		ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის სახელი, გვარი	
-----		-----	
	კრიტერიუმი	ქულა	მაქს. ქულა
	საბაკალავრო ნაშრომის ზოგადი თემატიკის, კონკრეტული პრობლემატიკის ცოდნა და ჰიპოთეზა		5
	შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული რელევანტური თეორიების ცოდნა და სპეციალური ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა		5
	კვლევის ადექვატური მეთოდების ცოდნა		3
	ნაშრომის/პროექტის აგებულება და ენობრივ-სტილისტური გამართულობა		2
	ჯამური ქულა		15
ხელმოწერა			

დანართი N 3 (სტრატეგიული კომუნიკაციების საბოლოო პროექტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შუალედური (კონცეფცია) შეფასება

საბაკალავრო პროგრამა			
----- ----- -----			
სტუდენტის სახელი, გვარი		ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის სახელი, გვარი	
----- -----		----- -----	
	კრიტერიუმი	ქულა	მაქს. ქულა
	საკითხის დასმა და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება - საკითხი აქტუალური და დასაბუთებულია; ჰიპოთეზა ნათლადაა ჩამოყალიბებული და ფორმულირებული, თეორიულად შემოწმებადია და იძლევა კვლევის შესაძლებლობას; მიზნები და ამოცანები კვლევისათვის რელევანტურია		5
	შესასწავლი საკითხის ირგვლივ შერჩეული წყაროები და მეორადი კვლევის შედეგად მოძიებული მასალა ამომწურავი და რელევანტურია საკვლევად არსებული სპეციალური თემატიკისთვის		5
	კვლევის მეთოდები - კვლევის მეთოდები ჰიპოთეზისათვის რელევანტურია, არჩევანი დასაბუთებულია და იძლევა მისი შემოწმების საშუალებას		5
	ჯამური ქულა		15
ხელმოწერა			

დანართი N 4 (ჟურნალისტიკის საბოლოო პროექტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შუალედური (კონცეფცია) შეფასება)

საბაკალავრო პროგრამა			
----- ----- -----			
სტუდენტის სახელი, გვარი		ხელმძღვანელის სახელი, გვარი	
----- -----		----- -----	
	კრიტერიუმი	ქულა	მაქს. ქულა
	საკითხი აქტუალური და დასაბუთებულია; ნათლადაა ჩამოყალიბებული და ფორმულირებული, წყაროები განსაზღვრულია		5
	შესასწავლი საკითხის ირგვლივ შერჩეული წყაროები და მეორადი კვლევის შედეგად მოძიებული მასალა ამომწურავი და რელევანტურია არსებული სპეციალური თემატიკისთვის		5
	კვლევის მეთოდები საკვლევის თემატიკის რელევანტურია, არჩევანი დასაბუთებულია და იძლევა მისი შემოწმების საშუალებას		5
	ჯამური ქულა		15
ხელმოწერა			

დანართი N 5 (სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შუალედური (კონცეფცია) რეკომენდაციები)

სამაგისტრო პროგრამა ----- ----- -----	
სტუდენტის სახელი, გვარი ----- -----	ხელმძღვანელის სახელი, გვარი ----- -----
კრიტერიუმი	რეკომენდაცია
პრობლემის განსაზღვრა, საკითხის ჩამოყალიბება და ჰიპოთეზის დასმა	
შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა	
კვლევის მეთოდები საკვლევის თემატიკის რელევანტურია, არჩევანი დასაბუთებულია და იძლევა მისი შემოწმების საშუალებას	
ხელმოწერა	

დანართი N 6 (საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შუალედური (წინასწარი განაცხადი) შეფასების ფორმა)

საბაკალავრო პროგრამა			
----- ----- -----			
სტუდენტის სახელი, გვარი		ხელმძღვანელის სახელი, გვარი	
----- -----		----- -----	
	კრიტერიუმი	ქულა	მაქს. ქულა
	საკითხის მოკლე მიმოხილვა, პრობლემის განსაზღვრა და მოსალოდნელი შედეგები (შესავალი), არსებული შეხედულებებისა და ლიტერატურის მიმოხილვა (თავი I)		5
	დაგეგმილი კვლევის მეთოდოლოგია (თავი II)		10
	გამოყენებული ლიტერატურა (თავი III)		5
	ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა.		5
	ჯამური ქულა		25
ხელმოწერა			

დანართი N 7 (სტრატეგიული კომუნიკაციების საბოლოო პროექტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შუალედური (წინასწარი განაცხადი) შეფასება

საბაკალავრო პროგრამა			
----- ----- -----			
სტუდენტის სახელი, გვარი		ხელმძღვანელის სახელი, გვარი	
----- -----		----- -----	
	კრიტერიუმი	ქულა	მაქს. ქულა
	საკითხის დასმა და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება - ტერმინები და ცნებები სრულად და მკაფიოდაა განსაზღვრული; კვლევის მოსალოდნელი შედეგები საინტერესოა როგორც აკადემიური წრისთვის, ისე კონკრეტული სფეროს წარმომადგენლებისთვის; პროექტის სავარაუდო სტრუქტურა შემუშავებულია		5
	შესასწავლი საკითხის ირგვლივ განხორციელებული პილოტური კვლევები - ანალიზი არის სრული და კრიტიკული; განხილულია მათი ძლიერი და სუსტი მხარეები; პილოტური კვლევის შედეგები, გარემოს ანალიზი საკმარისია საკვლევი სფეროს სრულფასოვანი ანალიზისთვის		10
	კვლევისმეთოდები - კვლევის საკითხისათვის საჭირო ინფორმაციის/წყაროს მოძიების ხერხები განსაზღვრული და სანდოა; კვლევის შერჩეული მეთოდების კრიტიკული ანალიზი; მოძიებული პირველადი და მეორადი წყაროები შეესაბამება საკვლევ თემას; მონაცემებისა და საილუსტრაციო მასალების შეესაბამება კვლევის ჰიპოთეზასთან		7
	წერილობითი ტექსტი - ლექსიკა მრავალფეროვანია; სინტაქსური კონსტრუქციები გამართულია; სტილი ადეკვატურია; ტექსტი მკაფიოდაა სტრუქტურირებული		3
	ჯამური ქულა		25
ხელმოწერა			

დანართი N 8 (ჟურნალისტიკის საბოლოო პროექტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შუალედური (წინასწარი განაცხადი) შეფასება

საბაკალავრო პროგრამა ----- ----- -----			
სტუდენტის სახელი, გვარი ----- ---		ხელმძღვანელის სახელი, გვარი ----- -----	
	კრიტერიუმი	ქულა	მაქს. ქულა
	საკითხის დასმა და თემატიკის ჩამოყალიბება - ტერმინები და ცნებები სრულად და მკაფიოდაა განსაზღვრული; კვლევის მოსალოდნელი შედეგები საინტერესოა როგორც აკადემიური წრისთვის, ისე კონკრეტული სფეროს წარმომადგენლებისთვის; პროექტის სავარაუდო სტრუქტურა შემუშავებულია		5
	შესასწავლი საკითხის ირგვლივ განხორციელებული კვლევები - ანალიზი არის სრული და კრიტიკული; განხილულია საკითხის ძლიერი და სუსტი მხარეები; გარემოს ანალიზი საკმარისია საკვლევი სფეროს სრულფასოვანი ანალიზისთვის		10
	კვლევის მეთოდები - კვლევის საკითხისათვის საჭირო ინფორმაციის/წყაროს მოძიების ხერხები განსაზღვრული და სანდოა კვლევის შერჩეული მეთოდების კრიტიკული ანალიზი; მოძიებული პირველადი და მეორადი წყაროები შეესაბამება საკვლევ თემას; მონაცემებისა და საილუსტრაციო მასალები შეესაბამება კვლევის თემატიკას		7
	წერილობითი ტექსტი - ლექსიკა მრავალფეროვანია; სინტაქსური კონსტრუქციები გამართულია; სტილი ადეკვატურია; ტექსტი მკაფიოდაა სტრუქტურირებული		3
	ჯამური ქულა		25
ხელმოწერა			

დანართი N 9 (სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შუალედური წინასწარი განაცხადი) რეკომენდაციები

სამაგისტრო პროგრამა		

სტუდენტის სახელი, გვარი		ხელმძღვანელის სახელი, გვარი
-----		-----
----		----
	კრიტერიუმი	რეკომენდაცია
1.	საკითხის მოკლე მიმოხილვა, პრობლემის განსაზღვრა და მოსალოდნელი შედეგები (შესავალი)	
2.	არსებული შეხედულებებისა და ლიტერატურის მიმოხილვა (თავი I)	
3.	დაგეგმილი კვლევის მეთოდოლოგია (თავი II)	
4.	გამოყენებული ლიტერატურა (თავი III)	
5.	ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა	
ხელმოწერა		

დანართი N10 (საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დასკვნის ფორმა ხელმძღვანელისთვის/თანახელმძღვანელისთვის)

საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამა ----- ----- -----		
სტუდენტის სახელი, გვარი ----- -	ხელმძღვანელის სახელი, გვარი ----- -	
საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სათაური ----- ----- ----- -----		
კრიტერიუმები	დადებითი	უარყოფითი
ნაშრომი შესრულებულია აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვით		
ნაშრომში დაცულია საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური სტილის მოთხოვნები		
ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის ორიგინალურ ნამუშევარს		
ხელმოწერა		

დანართი N 11 (საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საბოლოო შეფასების ფორმა)

სტუდენტის სახელი, გვარი	ხელმძღვანელის სახელი, გვარი
-------------------------	-----------------------------

საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის სათაური -----

ხელმძღვანელის მიერ დასრულებული ნაშრომის შეფასების ფორმა				
კრიტერიუმი	დადებითი	უარყოფითი	შენიშვნა	
შინაარსი <ul style="list-style-type: none"> საკვლევი პრობლემის/საკითხის განსაზღვრა ლიტერატურის მიმოხილვა მეთოდოლოგიის აღწერა შედეგები და მათი განხილვა დასკვნა 				
დოკუმენტის დიზაინი <ul style="list-style-type: none"> სარჩევი თავფურცელი ბიბლიოგრაფია ნაშრომის ტექსტის ფორმატი 				
ენა და სტილი <ul style="list-style-type: none"> ტექსტში დებულებების გამართულობა არგუმენტაციის თანმიმდევრულობა ლოგიკური კავშირი ტექსტის კომპონენტებს შორის ტექსტის (აკადემიური) ენა და გამართულობა ნაშრომის შესაბამისობა საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური სტილის მოთხოვნებთან 				
<ul style="list-style-type: none"> შენიშვნების და წინადადებების გათვალისწინება 				
დადებითი ან უარყოფითი შეფასება <i>(შენიშვნა: დადებითი პასუხის შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა უფლება პროექტი გაუგზავნოს ექსპერტს; უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში - არა)</i>		კომენტარი		
ხელმოწერა				

დანართი N 12 (სტრატეგიული კომუნიკაციების საბოლოო პროექტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საბოლოო შეფასების ფორმა)

საბაკალავრო პროგრამა

----- -----			
სტუდენტის სახელი, გვარი		ხელმძღვანელის სახელი, გვარი	

	კრიტერიუმი	მონიშვნა Y (დადებითი)	მონიშვნა X (უარყოფითი)
	პროექტის შინაარსობრივი მხარე - ნაშრომის შინაარსი ორგანიზებულია მკაფიოდ და ლოგიკურად		
	კვლევის შედეგები, ანალიზი - კვლევის შედეგები ლოგიკურად ადასტურებს ან უარყოფს დასკვნას და დასმულ ჰიპოთეზას; ანალიზი სიღრმისეული, დეტალური, თანმიმდევრული და კრიტიკულია; დასკვნა ლოგიკური და არგუმენტირებულია, ასახავს შემდგომი კვლევის პერსპექტივებს; შედეგები რელევანტური და მისაღებია პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის, კვლევის შედეგების გათვალისწინებით დასმული საკითხი/პრობლემა გადაჭრილია შესაბამისი PR მიდგომების გათვალისწინებით		
	წერილობითი ტექსტი - ლექსიკა მრავალფეროვანია; სინტაქსური კონსტრუქციები გამართულია; სტილი ადექვატურია; ტექსტი მკაფიოდაა სტრუქტურირებული		
	დადებითი ან უარყოფითი შეფასება (შენიშვნა: დადებითი პასუხის შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა უფლება პროექტი გაუგზავნოს რეცენზენტს; უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში არა)	კომენტარი	
	ხელმოწერა		

დანართი N13 (ჟურნალისტიკის საბოლოო პროექტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საბოლოო შეფასების ფორმა)

საბაკალავრო პროგრამა

----- -----			
სტუდენტის სახელი, გვარი		ხელმძღვანელის სახელი, გვარი	

	კრიტერიუმი	მონიშვნა Y (დადებითი)	მონიშვნა X (უარყოფითი)
	პროექტის შინაარსობრივი მხარე - ნაშრომის შინაარსი ორგანიზებულია მკაფიოდ და ლოგიკურად		
	კვლევის შედეგები - ანალიზი ლოგიკურად ადასტურებს ან უარყოფს დასკვნაში დასმულ საკითხს; ანალიზი სიღრმისეული, დეტალური, თანმიმდევრული და კრიტიკულია; დასკვნა ლოგიკური და არგუმენტირებულია, ასახავს შემდგომი კვლევის პერსპექტივებს; შედეგები რელევანტური და მისაღებია პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის, კვლევის შედეგების გათვალისწინებით დასმული საკითხი/პრობლემა გადაჭრილია შესაბამისი ჟურნალისტური მიდგომების გათვალისწინებით		
	წერილობითი ტექსტი - ლექსიკა მრავალფეროვანია; სინტაქსური კონსტრუქციები გამართულია; სტილი ადექვატურია; ტექსტი მკაფიოდაა სტრუქტურირებული		
	დადებითი ან უარყოფითი შეფასება <i>(შენიშვნა: დადებითი პასუხის შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა უფლება პროექტი გაუგზავნოს რეცენზენტს; უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში არა)</i>	კომენტარი	
ხელმოწერა			

დანართი N 14 (სააბაკალავრო ნაშრომის/საბოლოო პროექტის რეცენზენტის შეფასების ფორმა)

სტუდენტის სახელი, გვარი	რეცენზენტის/რეცენზენტების სახელი, გვარი		
საბაკალავრო ნაშრომის სათაური			
კრიტერიუმები	ქულა	მაქს. ქულა	შენიშვნები
დარგობრივი ცოდნა (რამდენად ლოგიკურად და დამაჯერებლად არის ნაშრომში გადმოცემული ცოდნა გარკვეული დარგობრივი საკითხის შესახებ)		10	
არგუმენტაციის უნარი (რამდენად მჭიდვანდებ ნაშრომში მსჯელობისა და საკუთარი მოსაზრების დასაბუთების უნარი)		10	
საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა		6	
კვლევის მეთოდის შესაბამისობა კვლევის მიზანთან		10	
დასკვნის სისწორე და კავშირი ძირითად ტექსტთან		10	
ნაშრომის აგებულება: რამდენად დაცულია ნაშრომის/პროექტის აგების წესები (გამოყენებული ლიტერატურის/წყაროების სია, ციტირებული ლიტერატურის მითითების სისწორე, შესავალი, დასკვნა და ა.შ.)		5	
ნაშრომის ენობრივ-სტილისტური გამართულობა: რამდენად დაცულია მართლწერისა და სტილის კანონზომიერებები		5	
ნაშრომი დაცვაზე წარსადგენად მზადაა			
ნაშრომი არ არის მზად დაცვაზე წარსადგენად			(კომენტარი)
ჯამური ქულა (მაქსიმალური - ქულა)		56 ქულა	
ხელმოწერა			

დანართი N15 (სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის შეფასების ფორმა)

სტუდენტის სახელი, გვარი	რეცენზენტის/რეცენზენტების სახელი, გვარი
-------------------------	---

საბაკალავრო ნაშრომის სათაური			
კრიტერიუმები	ქულა	მაქს. ქულა	შენიშვნები
დარგობრივი ცოდნა (რამდენად ლოგიკურად და დამაჯერებლად არის ნაშრომში გადმოცემული ცოდნა გარკვეული დარგობრივი საკითხის შესახებ)		15	
არგუმენტაციის უნარი (რამდენად მქლავნდება ნაშრომში მსჯელობისა და საკუთარი მოსაზრების დასაბუთების უნარი)		15	
საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა		15	
კვლევის მეთოდის შესაბამისობა კვლევის მიზანთან		15	
დასკვნის სისწორე და კავშირი ძირითად ტექსტთან		15	
ნაშრომის აგებულება: რამდენად დაცულია ნაშრომის/პროექტის აგების წესები (გამოყენებული ლიტერატურის/წყაროების სია, ციტირებული ლიტერატურის მითითების სისწორე, შესავალი, დასკვნა და ა.შ.)		10	
ნაშრომის ენობრივ-სტილისტური გამართულობა: რამდენად დაცულია მართლწერისა და სტილის კანონზომიერებები		10	
ნაშრომი დაცვაზე წარსადგენად მზადაა			
ნაშრომი არ არის მზად დაცვაზე წარსადგენად			(კომენტარი)
ჯამური ქულა (მაქსიმალური - ქულა)		95 ქულა	
ხელმოწერა			

დანართი N 16 (საბაკალავრო ნაშრომის/საბოლოო პროექტის სპეციალური/დარგობრივი კომისიის მიერ პრეზენტაცია/დისკუსიის შეფასების ფორმა)

საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი

----- -----			
სტუდენტის სახელი, გვარი		ხელმძღვანელის სახელი, გვარი	
----- -----		----- -----	
	კრიტერიუმი	ქულა	მაქს. ქულა
	პრეზენტაცია - საპრეზენტაციო ტექსტი ლაკონური და მკაფიოდ სტრუქტურირებულია; პრეზენტაციის ვიზუალური მხარე თავსებადია პრეზენტაციის ტექსტუალურ ნაწილთან; პრეზენტატორი თავისუფლად ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან; პრეზენტაციის და დისკუსიის მანერა შეესაბამება ეთიკურ და აკადემიურ სტანდარტებს		2
	დისკუსია - საპრეზენტაციო თემის ირგვლივ წამოჭრილ შეკითხვებზე პასუხი ადეკვატური, ამომწურავი და დასაბუთებულია და აჩვენებს საკითხის შესახებ სტუდენტის სიღრმისეულ ცოდნასა და გაცნობიერებას		2
	ჯამური ქულა		4 ქულა
ხელმოწერა			

დანართი N 17 (სამაგისტრო ნაშრომის სპეციალური/დარგობრივი კომისიის მიერ პრეზენტაცია/დისკუსიის შეფასების ფორმა)

სამაგისტრო პროგრამა

----- -----			
სტუდენტის სახელი, გვარი		ხელმძღვანელის სახელი, გვარი	
----- -----		----- -----	
	კრიტერიუმი	ქულა	მაქს. ქულა
	პრეზენტაცია - საპრეზენტაციო ტექსტი ლაკონური და მკაფიოდ სტრუქტურირებულია; პრეზენტაციის ვიზუალური მხარე თავსებადია პრეზენტაციის ტექსტუალურ ნაწილთან; პრეზენტატორი თავისუფლად ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან; პრეზენტაციის და დისკუსიის მანერა შეესაბამება ეთიკურ და აკადემიურ სტანდარტებს		2.5
	დისკუსია - საპრეზენტაციო თემის ირგვლივ წამოჭრილ შეკითხვებზე პასუხი ადეკვატური, ამომწურავი და დასაბუთებულია და აჩვენებს საკითხის შესახებ სტუდენტის სიღრმისეულ ცოდნასა და გაცნობიერებას		2.5
	ჯამური ქულა		5 ქულა
ხელმოწერა			